ფასი 1 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრკ ც. კ. და მოც. კომიტეტების და სსრკ უმაღ. საბჭოს ორგანო

ტელეფონები ნომ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—36—17, სამდივნოსი 16—55, მეო. კონტორის—5—31

პარასკევი
24
ნოემბერი
1933 წ.
№ 270 (3826)

საკ. კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის გახსნა დანიშნულია 1934 წლის 25 იანვრისათვის.

XVII ყრილობის დღის წესრიგი:

1. საანგარიშო მოხსენებები: საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის—მომხსენებელი ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხინის—მომხსენებელი ამხ. რ უ ძ უ ტ ა კ ი, ცენტრალური სარევიზიო კომისიის — მომხსენებელი ამხ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ს კ ი, საკ. კ.პ. (ბ)-ს დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში—მომხსენებელი ამხ. მ ა ნ უ ი ლ ს კ ი.

2. მეორე ხუთწლედის გეგმა—მომხსენებლები ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი და კ უ ი ბ ი შ ე ვ ი.

3. ორგანიზაციული საკითხები (პარტიული და საბჭოთა მშენებლობა)—მომხსენებელი ამხ. კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი.

4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა და არჩევნების წესი:

1) 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 1500 წევრზე.

2) 1 დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 3 ათას კანდიდატზე.

3) არჩევნები ხდება საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ პარტიულ კონფერენციებზე.

4) იმ უჯრედებში მყოფი კომუნისტები, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი, რკინის გზის პოლიტგანყოფილებანი და წითელი არმიის და გაერთიანებულ სახპოლიტსამმართველოს პოლიტგანყოფილებანი, ყრილობისათვის არჩევნებს ატარებენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკურ პარტიულ კონფერენციებზე.

ც. კ-ის მდივანი **ი. სტალინი.**

მხურვალე სალამი წითელი არმიის ახალწვეულებს

სახელოვან მუშურ - გლეხურ წითელ არმიას მებრძოლთა რიგებს შეემატა ახალი რაზმები: საქართველოში ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებით ჩატარდა 1911 წელში დაბადებულთა გაწვევა. სოციალისტური მშენებლობის ზრდასთან, საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფ ეკონომიურ და კულტურულ წარმატებასთან ერთად, წლითიწლობით იზრდება ჩვენი სიამაყის, წითელი არმიის ახალი კადრების ხარისხი; წელს ჩვენს წითელ ჯაზარმებში შევიდა ახალგაზრდები, რომელთა შორის თითქმის სრულიად აღარ მოიპოვება წერა - კითხვის უცოდინარი. წელს ჩვენი არმიის რიგები შეავსო იდეურად და პოლიტიკურად უფრო გაწვრთნილ, გათვითცნობიერებულ ახალგაზრდობამ, ვიდრე ამას წინა წლებში ჰქონდა ადგილი. და ეს გასაგებიც არის. ჩვენ უკვე, უახლოვდებით იმ დროს, როცა წითელ არმიის ეხლანდელ კადრებს მათ სპატიო და სახელოვან ბრძოლაში შეენაცვლება ოქტომბრის რევოლუციის თაობა.

1911 წელში დაბადებული ახალგაზრდობა, ეს ის თაობაა, რომელმაც შეგნებული ცხოვრება დაწყო სოციალისტური რევოლუციის სინამდვილეში. როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიაც ამ თაობის თვალწინ გაიარა მათი მამების და დედების, მათი უფროსი ძმების გმირულ ბრძოლებმა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის. 1911 წელს დაბადებული ახალგაზრდობა; თითქმის მთლიანად საბჭოთა სკოლებში აღზრდილი, ახალ ყოფაცხოვრების პირობებში დავაჟკაცებული თაობაა. ის მოვიდა წითელ ჯარის რიგებში, როგორც სოციალისტური ფაბრიკა - ქარხნების შრომის გმირი, როგორც კოლმეურნეობათა მინდვრების დამკვრელი. ის მოვიდა წითელ არმიის რიგებში, რადგან გახდეს პროლეტარულ სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ოსტატი, რათა გახდეს ლენინის და სტალინის მიერ შექმნილ წითელ არმიის ღირსეული დამკვრელიც.

ამ მხრივ ახლად გაწვეულთ დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდებათ. წითელი არმია დღეს ის აღარ არის, რაც ექვსი-შვიდი წლის უკან იყო. სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფმა ზრდამ, კავ-სახნისის ძველი რუსეთის გარდაქმნამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რკინის და ბეტონის ქვეყნად, შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ქვეყანას თავისი ჯარი აღეჭურვა სამხედრო ტექნიკის უახლესი და საუკეთესო საშუალებებით. ბრძოლა სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ახალი ტექნიკა დაუფლებოდა ბრძოლა გაწვევა, რაც შეიძლება მალე გაუტოლდეს თავის უფროს ამხანაგებს. როგორც დასრულებული, ყოველმხრივ მომზადებული წითელი მეომარი—ის ძირითადი ამოცანა, რომელიც პირველ რიგში დგას 1911 წელში დაბადებულთა და დღეს წითელ არმიაში გაწვეულთა წინაშე.

ლენინი ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დროს, 1916 წელში გვაფრთხილებდა, რომ გამარჯვებულ მუშათა კლასს აუცილებლად დაჭირდება, სამხედრო ხელოვნების შესწავლა. პროლეტარი დედები, წერდა ამხ. ლენინი, ეტყვიან თავიანთ შვილებს:

„შენ დიდი გახდები. მოგცემენ თოფს. ხელი ჩასჭიდე მას და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება აუცილებელია პროლეტარისათვის — არა იმიტომ, რომ ესროლო თოფი შენს ძმებს — სხვა ქვეყნების მუშებს, როგორც ეს ეხლანდელ ომში ხდება და როგორც ამას გირჩევენ სოციალიზმის მოღალატენი — არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო ბურჟუაზიის წინააღმდეგ შენსავე საკუთარ ქვეყანაში, რომ ბოლო მოუღო ექსპლოატაციას, სიღატაკეს, და ომებს, რაც შესაძლებელია არა კეთილი ზრახვების საშუალებით, არამედ ბურჟუაზიის დამარცხებით და მისი განიარაღებით".

ლენინის ეს მითითება მთელი თავისი აქტუალობით დგას ჩვენს წინაშე. პროლეტარიატის დიქტატურა 16 წელიწადია არსებობს დედამიწის ერთ მეექვსედზე, ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების ძლევამოსილი ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობისათვის გაფართოებულ გამოროტებას იწვევს კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელნიც მზად არიან ისარგებლონ ყოველგვარი შემთხვევით, რომ იარაღით ხელში დაამარცხონ და მოისპონ მსოფლიოში ერთად - ერთი პროლეტარული ხელისუფლების ქვეყანა.

იმ გმირულ ბრძოლაში, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს კომუნისტური პარტიისა და მისი ბრძანი ბელადის ამხ. **სტალინის** ფილადსებური წინამძღოლობით წითელ არმიას განსაკუთრებული საპატიო ადგილი უკავია. წითელი არმია არის რწმენა მსოფლიო იმპერიალისტური ყაჩაღების და ამავე დროს მშვიდობიანობისა და ზავის ერთად - ერთი საიმედო გუშაგი. საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელი სივრცეები, რომელსაც გაჰკიმულია ორ კონტინენტზე ბალტიის ზღვის ნაპირებიდან წყნარ ოკეანემდე, და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანედან მცირე აზიის საზღვრებამდე, შემოსილტულია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი არმიის, წითელი არმიის რკინის რიგებით. წითელი არმია, როგორც სისხლით ნაშენი და ხორცით ხორცთაგანი პროლეტარიატის დიქტატურისა, სრულიად განირჩევა კაპიტალისტური ქვეყნების ჯარებისაგან და, მაშასადამე, მეფის რუსეთის ჯარისაგანაც, რომელიც ახალ თაობას აქცევდა გატანჯებულ კლასების ბრმა იარაღად. წითელი არმია არის აგრეთვე ახალი ადამიანების აღმზრდელის, სოციალისტური კულტურის საუკეთესო კერა.

წითელი არმიის სამხედრო პოლიტიკური და კულტურულ მნიშვნელობას კარგად გრძნობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები და სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ყოველი მორიგი გაწვევა საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მშრომელი მოსახლეობის აქტიური დახმარებით. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯარში გაწვევა ყოველწლიური უბედურებას წარმოადგენს ახალგაზრდობისა და მათი მშობლებისათვის, ჩვენთან წითელ არმიაში გაწვევა მშრომელთა უდიდესი ენთუზიაზმით ტარდება. მიმდინარე წლის გაწვევამ ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო. ახალგაწვეულნი უკლებლივ გამოცხადდენ, სოფლად და ქალაქად იწყებოდა მათი გაცილების საღამოები, გაწვეულებს თან მიჰყვებოდნენ შესაკრებ პუნქტებამდე დროშებით და მუსიკით.

1911 წელს დაბადებულთა გაწვევის მიღწევები უნდა მთლიანად გამოვიყენოთ მიმდინარე მუშაობაში მორიგი გაწვევისათვის სამზადისის დროს. ეს სამზადისი აქედანვე უნდა დავიწყოთ. სკოლა, პრესა, თეატრები და კლუბები ეხლავე უნდა შეუდგნენ მუშაობას იმისათვის, რომ წითელ ჯარს მომავალი წლისათვის მივცეთ კულტურულად, ტექნიკურად და იდეურ - პოლიტიკურად კიდევ უფრო გამობრძმედილი ახალგაზრდები. აბსოლუტურად უნდა აღიკვეთოს ისეთი შემთხვევები, როგორსაც ადგილი ჰქონდა წელს აქაიქ ზოგიერთ მოწინავე რაიონებშიაც კი, მაგალითად ჭიათურაში, სადაც ახალწვეულებს შორის აღმოჩნდენ წერა-კითხვის უცოდინარნი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 1912 და 1913 წლებში დაბადებულთა მომზადებას გაწვევისათვის აღბულაღის, ადიგენის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ტოლოშის რაიონებში, რომლებმაც 1911 წელს დაბადებულთა გაწვევა შედარებით სუსტად ჩაატარეს. ამ რაიონების წვევამდელთა შორის ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია წერა - კითხვის უცოდინარი. 1934 წელში საქართველოში მოსახლეობამ მთლიანად უნდა იცოდეს წერა - კითხვა, ასეთია პარტიის დირექტივა.

ეს იქნება ერთერთი წინასწარი პირობა ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის შემდგომი გამაგრებისათვის და მისი ბრძოლის უნარის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენებისათვის. 1911 წ. გაწვევა ამ მხრივ დიდ მიღწევას წარმოადგენს. წითელი არმია მოელის და შეს უფლება აქვს მოელოდეს ჩვენგან კიდევ უფრო მეტ ყურადღებას 1912 წლის დაბადებულთა მომზადებისადმი. ისე, რომ მორიგი გაწვევით წითელ ჯარმაში მისულ ახალგაზრდობამ პირველ დღიდანვე შეძლოს დროის დაუკარგავად ხელი მიჰყოს სამხედრო ცოდნის შეძენას.

შეუნელებელი ყურადღება წვევამდელთა შორის მუშაობას- მხურვალე სალამი 1911 წელში დაბადებულთ, წითელი არმიის ახალწვეულებს!

ოდესის ოლქის კოლმეურნეთა დელეგაცია

ამხ. სტალინთან, კალინინთან, მოლოტოვთან და კაგანოვიჩთან

მოსკოვი, 23 ნოემბერი. 20 ნოემბერს ოდესის ოლქის კოლმეურნეთა დელეგაციამ, ინახულა ამხ. **სტალინი, კალინინი, მოლოტოვი,** და **კაგანოვიჩი.** დელეგაციამ ამხ. სტალინს გადასცა პატაკი პურის ჩაბარების და საშემოდგომო თესვის დამთავრების შესახებ. დელეგაცია შესდგებოდა საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან ოდესჩინის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის მიერ. დელეგაციას სათაოში უდგას ხაშჩევატსკის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. **სტახოვიჩი.**

გაცხოველებულმა მეგობრულმა საუბარმა კოლმეურნეებთან სამ საათს გასტანა.

ამხანაგმა კოლმეურნეებმა უამბეს ამხ. სტალინს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს მათ და რა დიდი შემოსავალი მიიღეს წელს. დელეგატებს შორის არიან ისეთი კოლმეურნეები, როგორიცაა ამხ. **ჩერნოუსოვი,** რომელსაც თავის ოჯახის წევრებთან ერთად გამომუშავებული აქვს 1.110 ბრიგადა - დღე, ხოლო თვითეულ ბრიგადა - დღეზე ამხ. ჩერნოუსოვის კოლმეურნეობაში მოდის 17 კილოგრამი პური.

ამხ. სტალინს, კალინინს, მოლოტოვს და კაგანოვიჩს ძლიერ აინტერესებდათ მეცხოველეობის განვითარება კოლმეურნეობაში და ახალგაზრდა პირუტყვის და შინაური ფრინველის გამრავლება. მათ აღინიშნეს, ყველა უძრობო კოლმეურნის ძროხით უზრუნველყოფის საკითხს უმოკლეს ვადაში უნდა მოეღოს ბოლო. კოლმეურნეებმა უპასუხეს ეს საქმე იქ ისე ვითარდება, რომ მალე კოლმეურნეობაში არც ერთი უძრობო კოლმი აღარ იქნებაო.

კოლმეურნეებმა აღნიშნეს, რომ უდიდესად გაიზარდა მოთხოვნილებანი სოფლად და, რომ იზრდება მოთხოვნილება საქონლზე. ამხ. სტალინმა, მიუთითა რა მათ მსუბუქი მრეწველობის სერიოზული გაფართოების გეგმაზე, უთხრა დელეგაციას: **ამიერიდან ფართო მოხმარების საგნები, ორჯერ და სამჯერ უფრო მეტი იქნება გამოგზავნილიო.**

ამხ. სტალინს აინტერესებდა ქალის როლი კოლმეურნეობაში, მისი ზრდა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური დელეგაციის წევრმა კოლმეურნე ქალებმა დაუწვრილებით უამბეს მას ამის ძესახებ და დაადასტურეს, რომ კოლმეურნეობაში ქალი დიდ ძალად გადაიქცა. დელეგაციამ აგრეთვე უამბო მას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ახალი კადრების შესახებ.

დელეგაციის შეკითხვაზე, — როგორია კოლმეურნეთა უახლოესი ამოცანაო, ამხ. სტალინმა უპასუხა, რომ უახლოესი ამოცანაა — **იმუშაონ კოლმეურნეობაში პატიოსნად და გაუფრთხილდენ საკოლმეურნეო დოვლათს.** ამხ. სტალინმა აღნიშნა, თუ კოლმეურნეები ნამდვილ მუშაობას მოისურვებენ და პატიოსნად იმუშავებენ, მათ ბლომად ექნებათ პროდუქტები და უმოკლეს ვადაში გადაიქცევიან შეძლებულ მშრომელებადო.

საუბარი წარმოებდა საკოლმეურნეო ცხოვრების სხვადასხვაგვარ საკითხზე. წასვლისას დელეგატებმა გაიცნობიერეს:

„ახლა ჩვენ ვიცით, რომ მთავარია — **ვიმუშაოთ კარგად და პატიოსნად, გავუფრთხილდეთ კოლმეურნეობას და ყველაფერს მივაღწევთ, რაც კი გვესაჭიროებაო"**

„გადაეცით, — უთხრა მათ გამომშვიდობებისას ამხ. **სტალინმა,** — კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები". (ადს).

სახელმწიფოსთვის 1934 წელს რძისა და ერბო-კარაქის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს 1934 წლისათვის (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში დაწესებულ სახელმწიფო ფასების მიხედვით სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების შემდეგი საშუალო ნორმები ცალკე საკოლმეურნეო კომლებისათვის კოლმეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები, და ცალკე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათათვის (ლიტრობით ერთ ძროხაზე წელიწადში).

რაიონები	ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისათვის	კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმების არ მქონე კოლმეურნეობისათვის	კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმების მქონე კოლმეურნეობისათვის
I ჯგუფი	280	220	180
ჩრდილოეთის მხარე დასავლეთ ციმბირის მხარე ურალის ოლქი ივანოვოს ოლქი			
II ჯგუფი	250	180	150
ლენინგრადის ოლქი მოსკოვის ოლქი დასავლეთის ოლქი ჩრდ. კავკასიის მხარე ბაშკირეთის ა.ს.ს.რ. თათარია ა.ს.ს.რ.			
III ჯგუფი	170	110	80
ცენტრ. შავნიადაგიანი ოლქი უკრაინის ს.ს.რ ბელორუსიის ს.ს.რ. შუა-ვოლგის მხარე ქვემო ვოლგის მხარე კაზაკეთის ა.ს.ს.რ. აღმოსავლეთ ციმბირის მხარე შორეულ-აღმოსავლეთის მხარე გორკის მხარე			
IV ჯგუფი	120	75	50
ყირიმის ა.ს.ს.რ. კარელიის ა.ს.ს.რ ჩრდ. კავკასიის მთიანი რაიონები			
მთიანი რაიონების განსაკუთრებით ა.კ.ს.ფ.ს.რ. ყალმუღთა ავტ. ოლქი ყირგიზთა ა.ს.ს.რ. უზბეკისტანის ს.ს.რ. თურქმენისტანის ს.ს.რ იაკუტიის ა.ს.ს.რ. ტაჯიკისტანის ს.ს.რ.			

2. კოლმეურნეობათა სარძეო-სასაქონლო ფერმებსა და განსაზოგადოებულ ჯოგებში დაწესდეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების შემდეგი სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ნორმები (ლიტრობით ერთ ძროხაზე წელიწადში)

რაიონები	კოლმეურნეობათა სარძეო-სასაქონლო ფერმების და განსაზოგადოებული ჯოგების	
I ჯგუფი	580	
ჩრდილოეთის მხარე დასავლეთ ციმბირის მხარე ურალის ოლქი ივანოვოს ოლქი ჩრდ. კავკასიის მხარე		
II ჯგუფი	520	
ლენინგრადის ოლქი მოსკოვის ოლქი დასავლეთის ოლქი ბაშკირეთის ა.ს.ს.რ. თათარია ა.ს.ს.რ.		
III ჯგუფი	470	
ცენტრ. შავნიადაგიანი ოლქი შუა-ვოლგის მხარე უკრაინის ს.ს.რ. ბელორუსიის ს.ს.რ გორკის მხარე ქვემო-ვოლგის მხარე კაზაკეთის ა.ს.ს.რ. აღმოსავლეთ-ციმბირის მხარე შორეულ-აღმოსავლეთის მხარე		
IV ჯგუფი	350	
ყირიმის ა.ს.ს.რ.		
მთიანი რაიონების განსაკუთრებით ა.კ.ს.ფ.ს.რ. ყალმუღთა ავტ. ოლქი ყირგიზთა ა.ს.ს.რ. უზბეკისტანის ს.ს.რ. იაკუტიის ა.ს.ს.რ.		

3. სარძეო-სასაქონლო ფერმების, კოლმეურნეობების (მათ შორის კომუნების) და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ჩაბარებული რძის რაოდენობა განისაზღვრება ძროხების რაოდენობით **1933** წლის 1 ნოემბრისათვის.

კოლმეურნეობების და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების განსაზოგადოებულ ჯოგში პირუტყვის ნამდვილად არსებული რაოდენობის დაფარვისათვის დაწესდეს კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეების და კოლმეურნეობათა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების გამგეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რ.ს.ფ.ს.რ სისხლის სამართლის კოდექსის 62 მუხლისა და სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსთა სათანადო მუხლების მიხედვით.

4. რაიონებში, სადაც არ მოიპოვება ყველ-ერბო-კარაქის ქარხნები, გარდა მთლიანად მერძეობის რაიონებისა, ერთპიროვნული მეიონეობები, კოლმეურნეობები და საკოლმეურნეო კომლები ვალდებულებებს ასრულებენ ერბოთი 1 კილო ერბოს ანგარიშით 25 ლიტრ. რძეზე.

5. დაწესდეს კოლმეურნეობების (მათ შორის კომუნების), საკოლმეურნეო კომლების და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების შემდეგი კალენდარული ვადები იმ წლიური ნორმების პროცენტებში, რომლებიც აღნიშნულია ამა დადგენილების პირველ და მეორე პუნქტში:

რაიონები	1 ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე 3 კვარტალი	მე-4 კვარტალი
ჩრდილოეთის მხარე ლენინგრადის ოლქი კარელიის ა.ს.ს. რესპუბლიკა დასავლეთის ოლქი ივანოვოს ოლქი მოსკოვის ოლქი ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა	20	40	30	10
ჩრდილოეთის მხარე დასავლეთ ციმბირის მხარე ურალის ოლქი ივანოვოს ოლქი ჩრდ. კავკასიის მხარე	15	35	40	10
ჩრდ. კავკასიის მხარე ქვემო ვოლგის მხარე ურალის ოლქი უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა	15	35	40	10
გორკის მხარე დასავლეთ-ციმბირის მხარე	15	40	35	10
ბაშკირეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა თათარია ა.ს.ს. რესპუბლიკა	10	40	40	10
ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი შუა-ვოლგის მხარე	10	35	40	15
ყაზაკეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა ყირგიზეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა აღმოსავლეთ ციმბირის მხარე შორეულ აღმოსავლეთის მხარე	10	35	45	10
ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა	5	45	45	5

6. წინადადება მიეცეს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს დაუწესოს ჩაბარების ცალკეული ნორმები რაიონების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნეს ამ დადგენილებით დამტკიცებული საშუალო ნორმები, ხოლო სახელმწიფოსათვის ერბოს ჩაბარების გეგმის შესრულება—მთლიანად უზრუნველყოფილი.

ჩაბარების რაიონული ნორმების დამტკიცების შემდეგ საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატებმა გამოაქვეყნონ ისინი ადგილობრივ პრესაში.

კატეგორიულად ეკრძალებათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფოსთვის რძის ჩაბარების რაიონული ნორმების შეცვლა, რომლებიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ საკოლმეურნეო ფერმებისათვის, კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ჯოგისათვის, კომუნებისათვის, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული იეურნეობებისათვის.

7. დაევალოს სახოფლო საბჭოებს და რაიაღმასკომებს თავმჯდომარეებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების და სამხარეო აღმასკომების პასუხისმგებლობით არა უგვიანეს 25 დეკემბრისა ჩაბარონ თვითეული სარძეო სასაქონლო ფერმას, კოლმეურნეობას და კომუნას, რომელთაც ყავთ განსაზოგადოებული ჯოგი, საკოლმეურნეო კომლს და ერთპირ. მეურნეობას, რომელსაც ჰყავს ძროხები, რძის ჩაბარების ვალდებულება ჩაბარების პუნქტის აღნიშვნით და ჩაბარების წლიური ნორმის თვეებზე განაწილებით, რაიონებისათვის დაწესებულ დამზადებათა კვარტალურ გეგმებთან შეფარდებით.

8. დაევალოს სახოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს აწარმოონ იმის ალრიცხვა, თუ როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო კომლები და ერთპიროვნული მეურნეობები მათთვის დაწესებულ ვალდებულებებს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების მხრივ.

9. კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომლებიც არ შეასრულებენ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების თვიურ ვალდებულებებს, დაედებათ ფულადი ჯარიმა ვალდებულებათა შეუსრულებელი ნაწილის საბანრო ღირებულების რაოდენობით და მათ შემდეგ თვეში, ამ თვის ჩაბარების ნორმების ზევით, უდაო გადახდევინების წესით გადახდებათ რძის ჩაუბარებელი ნაწილი.

10. დაევალოს ერბო-კარაქის ქარხნების დირექტორებს დაუბარონ რძის ჩამბარებლებს რძის კარაქად გადაუშვების ნარჩენები (არაუანმოხდილი რძე) შემდეგი ოდენობით:

ჩრდ. კავკასიის მხარე ქვემო ვოლგის მხარე ურალის ოლქი უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა	15
გორკის მხარე დასავლეთ-ციმბირის მხარე	15
ბაშკირეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა თათარია ა.ს.ს. რესპუბლიკა	10
ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი შუა-ვოლგის მხარე	10
ყაზაკეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა ყირგიზეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა აღმოსავლეთ ციმბირის მხარე შორეულ აღმოსავლეთის მხარე	10
ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა	5

ჩრდ. კავკასიის მხარე ქვემო ვოლგის მხარე ურალის ოლქი უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა	15
გორკის მხარე დასავლეთ-ციმბირის მხარე	15
ბაშკირეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა თათარია ა.ს.ს. რესპუბლიკა	10
ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი შუა-ვოლგის მხარე	10
ყაზაკეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა ყირგიზეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა აღმოსავლეთ ციმბირის მხარე შორეულ აღმოსავლეთის მხარე	10
ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა	5

საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს (მათ შორის კომუნებს), რომლებსაც ყავთ განსაზოგადოებული ჯოგი—ჩაბარებული ... ათას წონის 50 პროცენტი;

დანარჩენ მეურნეობებს — ჩაბარებული რძის 35 პროცენტი.

11. რძის და ერბოს დამზადება ამ დადგენილების წესით დაეკისროს საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის და „ცენტროსოიუზის" ყველ-ერბო-კარაქის ქარხნებს და ჩასასმელ პუნქტებს.

12. დაწესდეს პასუხისმგებლობა ოლქისთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხლის და სხვა რესპუბლიკათა სათანადო მუხლების მიხედვით მოხდილი ფასსიფიცირებული (ნარევი) რძის ჩაბარების ცდებისათვის, ამ დადგენილებით დაწესებულ ვალდებულებათა შესრულების ხარვეზზე.

13. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატს „ცენტროსოიუზთან" შეთანხმებით დაამტკიცოს სამრეწველო ცენტრებისათვის მიწოდებელი მოუხდებელი რძის დამზადების რაიონების სიები და დამზადებათა რაიონების განაწილება „გლავმოლოკოს" და „ცენტროსოიუზის" ტრესტებს შორის.

14. ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება დაეკისროს საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატს და მის რწმუნებულებს რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში.

15. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე დამამზადებელი ორგანიზაციებს დაარონ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებულ ჯოგს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ვალდებულებანი ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება ამ დადგენილების შეფარდებით ... მოქვეყნებულ ჩაბარების ნორმებს. აღკრძალოს აგრეთვე რძის ჩაბარების დამატებით ან შემხვედრი გეგმების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს თავიანი ვალდებულებანი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას წესიერი ჩამბარებლებისათვის სრული შესაძლებლობა თავისუფლად და თავისი შეხედულებისამებრ მოიხმარონ თავისი პროდუქციის ჭარბი ნაწილი.

გაფრთხილება მიეცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირები მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
ი. სტალინი.

22 ნოემბერი 1933 წ.

საბჭოთა მეურნეოგების მიერ 1934 წ. რძის და ერბო-ყარაქის ჩაბარების გეგმის შესახებ

ს. ს. რ. კავშირის სახ. კომისართა საბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება

1. დაწესდეს საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის 1934 წელს რძის და ერბო კარაქის ჩაბარების გეგმა 39170 ტონას რაოდენობით, ნაცვლად 1933 წლის გეგმით გათვალისწინებული 30.700 ტონისა (რძეზე გადაყვანით).

2. დამტკიცდეს სახელმწიფოსათვის რძის და ერბო-კარაქის ჩაბარების გეგმის შემდეგი განაწილება საბჭოთა მეურნეობების ცალკე სისტემებს შორის:

ა) ხორცის საბჭოთა მეურნეობანი—17.500 ტონა.

მატყლეულის საბჭოთა მეურნეობანი—103 ტონა.

მეღორეობის საბჭოთა მეურნეობანი 1200 ტონა.

რუსეთის ს.ფ.ს.რ.-ის რძის საბჭოთა მეურნეობანი—1770 ტონა.

უკრაინის ს.ს.რ.-ის დონის მერძეობის ტრესტი—1000 ტონა.

ბელორუსიის ს.ს.რ.-ის მერძეობის ტრესტი—510 ტონა.

რუსეთის ს.ფ.ს.რ.-ის მეფრინველეობის ტრესტი—80 ტონა.

უკრაინის ს.ს.რ.-ის მეფრინველეობის ტრესტი—12 ტონა.

ბელორუსიის ს.ს.რ.-ის მეფრინველეობის ტრესტი—25 ტონა.

ბ) ს.ს.რ.კ.ა.-ის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობანი—850 ტონა.

მათ შორის:

სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების გაერთიანება—155 ტონა.

მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების საკ. გაერთიანება—110 ტონა.

ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობების საკ. გაერთიანება—300 ტონა.

ხილის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი—40 ტონა.

ახალ

პარტიული მშენებლობა

თვითეული პარტიული კომიტეტი და უჯრედი ისეთივე პასუხისმგებელია მარქსისტულ-ლენინურ სწავლებისათვის, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის

რაიონული გარდამავალი დროშა სახუნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას

მარქსისტულ - ლენინური აღზრდის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავაკისროთ მხოლოდ და მხოლოდ კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებს; საჭიროა ამ საქმეს ფართოდ მოკიდონ ხელი თვით პარტიულმა ორგანიზაციებმა; თვითეულ პარტუჯრედი, ძირეული რგოლი, თვითეული კომუნისტი, პასუხისმგებელია პარტიული სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის; ეს იმას არ ნიშნავს, რომ კულტპროპგანყოფილებს მუშაკებს პასუხისმგებლობა ეხსნებათ, პირიქით, მათი მუშაობა იმგვარად უნდა გაირდაიჭნას, რომ, მიღწეულ იქნეს, კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა პარტგანათლების ქსელზე. ეს უდაო დებულება კარგად აქვთ შეთვისებული, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგან-ზაციის ხელმძღვანელებს და მარქსისტულ - ლენინური სწავლების საქმეში მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

პარტიულთა იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლების შესახებ ს.კ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების მთლიანად განხორციელება — ასეთია ამოცანა, რომელსაც თანმიმდევრობით ანხორციელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი.

რა მდგომარეობა გვაქვს ამჟამად?

მარქსისტულ - ლენინური სწავლების ქსელის დაკომპლექტებას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია ადრე შეუდგა. ამ სამუშაოზე მობილიზებულ იქნენ კომუნისტი პროფესორები, ასპირანტები და უნივერსიტეტის ყველა საუკეთესო ძალები. ჩამოყალიბებულია: მიმდინარე პოლიტიკის 12 წრე, საკანდიდატო სკოლა 8, ლენინიზმის შემსწავლელი წრე—2; წრეებსა და სკოლებში მეცადინეობა მეუფერებლად მიმდინარეობს; სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი, რომ სერიოზულად მოეკიდა პარტიული სწავლების სათანადოდ დაყენების საქმეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სახპროპაგანდო საქმეზე გამოყენებულია საუკეთესო ძალები: 6 დოცენტი და ლექტორი, 6 კი მესამე კურსის სტუდენტი.

დღემდე ჩატარებულია 11 მეცადინეობა. დასწრების უზრუნველყოფა 92 პროცენტით, მტკიცე დისციპლინის დამკვიდრება წრეებში და სკოლებში — აი რას მიაღწია ამ პარტორგანიზაციამ. როგორ იქნა მიღწეული წრეებსა და სკოლებში ასეთი შეუფერხებელი მუშაობა?

სისტემატიურად ხდება სკოლების და წრეების მუშაობის შემოწმება, მეცადინეობაზე დაუსწრებლობისათვის, პარტიული კომიტეტის მიერ; პარტიის 17 წევრის გამოიცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით; ძირეული პარტიული რგოლები აქტიურად ჩაებენ პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში. მკაცრი ზომები იქნა მიღებული იმ პროპაგანდისტების მიმართ, რომელნიც შლიდენ მეცადინეობას; მაგალითად, შალვა პაპავამ (ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი) სამჯერ ჩაშალა მეცადინეობა; პარტიულმა კომიტეტმა ის მოხსნა პროპაგანდისტობიდან და საქმე გადასცა ორგკომიტეტს რაიკომს; ასევე დ. თოფურიამ და ნ. გვაზავამ (ეკონომიური ფაკულტეტი) ჩაშალეს მეცადინეობა; პარტიული კომიტეტის მიერ ამ ამხანაგებმა მიიღეს საკადრისი პასუხი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიული სწავლების დღის მომზადების პრაქტიკა. ხუთი დღით ადრე დასამუშავებელი თემა ეცნობა ყველა პროპაგანდისტებს, ძირეულ რგოლებში პროპაგანდისტების და უჯრედის მდივნების მიერ წინასწარ ტარდება ინფორმაცია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია განცხადება, სადაც ნაჩვენებია დასამუშავებელი თემა და, დასახელებულია ლიტერატურა, ეწყობა კონსულტაციები პროპაგანდისტებისათვის, პროპსემინარში წინასწარ ტარდება მეცადინეობა და სხვ. ასე მომზადებული პარტიული სწავლების დღე უკეთეს ხარისხს იძლევა. მუშაობის ეს პრაქტიკა უნდა გადაიღონ ტფილისის სხვა ორგანიზაციებმა.

გაიზარდა შეთვისების ხარისხი. სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმული არიან პარტუჯრედები და ინდივიდუალური მსმენელები.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონაკიძის რაიკომმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტს პარტიული სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის გადასცა გარდამავალი დროშა. დროშა მარტო ჯილდო არ არის, ეს არის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას ახალ ამოცანებს აკისრებს.

პარტსწავლების საქმეში მოპოვებული მიღწევებით სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაცია არ უნდა დაკმაყოფილდეს; მარქსისტულ-ლენინური სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა ცენტრალური ამოცანაა.

გ. ჟორჟიძე.
ს. მაჭარაშვილი.

აჯ პარტიულ სწავლებას ოპერატიულად ხელმძღვანელობენ

(ორგთქვ-ების სამმოკტო ქაოხნის სამხედლო საამქრო.)

პარტორგანიზაციამ „უშრალდლების ცენტრში მოაქციონ მუშაობა მთელი ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად“. — ასეთი დირექტივა მოგვცა ს.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. პარტიის თვითეული წევრის და კანდიდატის შეიარაღება მარქსისტულ - ლენინური თეორიით, კომუნისტეიის ავანგარდული როლის გაძლიერება ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლაში — საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა.

თუ ამ თვალსაზრისით შევამოწმებთ ორთქლმავლების სარეონტო ქარხნის სამხედლო საამქროს პარტუჯრედის მუშაობას, აშკარა გახდება თვალსაჩინო წარმატება, რომელიც უჯრედმა მოიპოვა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში. შემდგომა-ზამთრის პოლიტსწავლების უკეთესმა ორგანიზაციამ, სკოლების დროულად დაკომპლექტებამ, მეცადინეობის დროზე დაწყებამ უზრუნველყო პარ სწავლების ხარისხის ამაღლება. აქ სულ ჩამოყალიბდა 6 სკოლა; აქედან დაწყებითი პოლიტსკოლა 3, პარტიის ისტორიის შემსწავლ. წრე—1, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე—1, პარტიის პროგრამის და წესდების შემსწავლელი წრე—1; პოლიტსკოლებში ჩაბმულია პარტიის 114 წევრი, 30 კანდიდატი და 22 უპარტიო.

პროპაგანდისტთა სემინარი, რომელიც ოქტომბრიდან ჩამოყალიბდა, ხისტემატიურად მუშაობს. აქ პროპაგანდისტები წინასწარ ეცნობიან პოლიტსკოლებსა და წრეებში დასამუშავებელ თემას,პარტიული უჯრედი ოპერატიულად ხელმძღვანელობს პარტგანათლების ქსელს. 27 ოქტომბერს და 14 ნოემბერს პარტუჯრედმა მოისმინა მოხსენება მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ და დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

წინა წლებში ს. ჰ.მჭროს უჯრედი ისე ახლო არ იდგა პარტიულ სწავლებასთან, როგორც დღეს. ახლა უჯრედს წესად აქვს შემოღებული პარტგანათლების ქსელში თვითეული მეცადინეობის შედეგების შეჯამება. შეჯამების დროს ირკვევა ყველა ის საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ - ლენინური სწავლების ხარისხისათვის, ასეთი საკითხებია: თუ როგორია წრეებსა და სკოლებში მსმენელების დასწრება, ემზადებიან თუ არა პროპაგანდისტები, რომ მეცადინეობა ჩაატარონ წესიერად და სხვა. აი მაგ., 17 ნოემბერს მეცადინეობის ჩაშლისათვის საყვედური გამოუცხადა დაწყებითი სკოლის ხელმძღვანელს შრეგლოვს, საყედური გამოეცხადა აგრეთვე პარტიის პროგრამის და წესდების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელს — სინჯიკაშვილს 8 ოქტომბერს მეცადინეობაზე მოუმზადებლად მოსვლისათვის. მომიწვეს პოლიტსკოლის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი — შალამბერი პოლიტიკურად სუსტი მომზადებისა და ხელმძღვანელობის უხარის უქონლობის გამო მოიხსნა სკოლის პროგმუშაობისაგან.

ამხ. წკრიალაშილი, „26“-ის სახელობის ქარხნის საუკეთესო პარტორგანიზატორი.

საუკეთესო ხელმძღვანელებად ითვლებიან: ვარდოსანიძე, და ასათიანი. მეცადინეობაზე დასწრების უზრუნველსაყოფად საამქროში მუშაობს ბრიგადა; ბრიგადა ამოწმებს მეცადინეობაზე დასწრებას, ათავსებს შემოწმების შედეგებს კედლის გაზეთში და წითელ დაფაზე და სხვ. მასობრივი მუშაობის ამ ახალმა ფორმებმა დადებითი შედეგები მოგვცა. დასწრება დამაკმაყოფილებელია. ყველაზე უკეთ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეშია (მამასახლისი კორვალიძე) საქმე დაყენებული. ჩამორჩენილია დაწყებითი პოლიტსკოლა (მამასახლისი დანელია).

სამჯერდლი საამქროს უჯრედს პოლიტსწავლებაზე საუკეთესოდ დაყენებაზე სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს საზეინკლო საამქროს უჯრედი. აგრეთვე გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება სკოლებს შორის, მაგ.: მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეს გამოწვეული ჰყავს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე და ა. შ.

საუკეთესო მსმენელებად ითვლებიან ის მუშა-კომშენისტები, რომელნიც ყოველთვის ყველა საწარმოო გეგმებს. ახლო ხანებში ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციამ მასობრივი პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაზე მუშაობა დაიწყო. ამ მიზნით ორგანიზებული იქნა ფაბრიკის პარტიული ბიუროს ინსტრუქტორების ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ინსტრუქტორების ჯგუფი ეხმარება ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას მასობრივი პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაში, ამოწმებს ამ მუშაობის შედეგებს და ა. შ.

აი რა გამოარკვია თვითშემოწმებამ

(მკერავი № 2)

რა მიღწევებით ხვდება მკერავი № 2 ფაბრიკის პარტორგანიზაცია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომ. 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების ორი წლისთავს? ამჟამად ფაბრიკაში საამქრო უჯრედებთან ერთად ჩამოყალიბებულია 9 პარტჯგუფი, გამოყოფილია 5 პარტორგანიზატორი. საამქრო უჯრედების და პარტჯგუფების მუშაობას მთელი რიგი დეფექტები ახასიათებდა. არ ხდებოდა კომუნისტების ავანგარდული როლის შემოწმება, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა პარტგანათლების ქსელში მეცადინეობა. როგორ არის საქმე ახლა?

საამქრო უჯრედები და პარტუჯრედები მუშაობას აწარმოებენ წინასწარ შედგენილი გეგმების საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა 31 ოქტომბრის დადგენილებით ხაზი გაუსვა იდეურ-პოლიტიკურ მუშაობის სისუსტეს, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციაში. მკრავეთა პარტორგანიზაციამ თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით; ჩამოყალიბებულია მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ქსელი, რომელშიაც ჩაბმული იქნა პარტიის წევრთა და კანდიდატთა მთელი შემადგენლობა.

აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინათ ფაბრიკის პარტორგანიზაციას არ ჰყავდა პროპაგანდისტთა საკუთარი ძალები, აქედან კი სპეროპაგანდო სამუშაოზე დაწინაურებულია 5 მუშა. ისინი ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელს. დამკვრელი მუშა პროპაგანდისტები არიან: ანა ბოგოვა, ოლია ხინგეროვა, ივანაშვილი და მარგოვა. ფაბრიკის დამკვრელი მუშები მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საუკეთესო მუშას იძლევიან ჩვენს საამქროში პარტიის ათი წევრი და ხუთი კანდიდატია—ამჟამად № 1 საამქროს პარტუჯრედის მდივანი ამხ. კირპიჩოვა. პოლიტსკოლებში ყველა კომუნისტია ჩაბმული. ადგილი არ აქვს მეცადინეობის გაცდენას; სიმონიანი, აბულაძე, კოვალოვა. ეს ის ამხანაგები არიან, რომელნიც საუკეთესოდ ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინურ თეორიას“. ამ წარმატებებთან ერთად არის სერიოზული დეფექტებიც.

ზოგიერთი კომუნისტი ავანგარდული როლის გამართლების ნაცვლად თვითონ არღვევს შრომის დისციპლინას, მაგ: აბუსერი ძმ, მოსესოვმა და ტატიშვილმა დატოვეს ფაბრიკა, პატიოსნად ორგანიზაციამ კი დროზე ვერ აბედა შრომის დეზორგანიზები და არ მიუღია მათ წინააღმდეგ გადაჭრელი ზომები.

7 საათიანი სამუშაო დრო არ არის მთლიანად დატვირთული. ადგილა აქვს 10—15 წუთით „გასეირნების“ შემთხვევებს; საამქროს პარტუჯრედი და პარტჯგუფები ამის წინააღმდეგ არ იღებენ ენერგიულ ზომებს. უკანასკნელ ხანებში ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მასობრივი პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება მჭიდროდ დაუკავშირა საწარმოო გეგმების შესრულებას. საუკეთესო ძალები გადასროლილი იქნა საამქროებში, გამოიყო ძირეული პარტორგოლები, ჩატარდა კონფერენცია თვითდირებულების საკითხზე; ამან ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ზრდას; მკერავის კომუნისტები არ უნდა დაემყოფილდენ ამ წარმატებებით; მით უმეტეს, რომ კამათში გამოსული ამხანაგების და თვითშემოწმებული ბრიგადების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებაში საკმაო დეფექტებია. დღემდე არ არის მიღწეული მუშაობა დენადობის ლიკვიდაცია. 10 თვის განმავლობაში მიღებული იქნა 728 მუშა, წარმოება კი დასტოვა 780 კაცმა. ბრიგადამ, რომელიც ამოწმებდა ფაბრიკაში პარტმასობრივი მუშაობის, გამოარკვია, რომ პარტიის 51 წევრის საწევრო ანარიცხები არ ჰქონდა დაფარული. მუშაობის პროცესში საამქროს პარტუჯრედებს და ჯგუფებს უწევდენ პრაქტიკულ დახმარებას; ფაბრიკამ 10 თვის საწარმოო დავალება 96,3 პროცენტით შეასრულა; — 11.363.800 მანეთი პროდუქციის ნაცვლად გამოშვებული იქნა—10.941.324 მანეთის პროდუქცია; უკანასკნელ ხანებში მიღწეული გარდატეხა ყოველმხრივ უნდა იქნას განმტკიცებული. ფაბრიკა მკერავმა მთლიანად უნდა დაფაროს გასული ათი თვის გეგმის დანაკლისი.

მკერავი.

ასე მუშაობა არ შეიძლება

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სააკ. კ.პ. (ბ) ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კარაკლისის, კასუმიზმაილის და გურგჯაანის პარტიის რაიკომების მოხსენებათა გარშემო ორგპარტმასობრივი მუშაობის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებით დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ „გადაჭრით უნდა იქნას დაძლეული დღემდის დარჩენილი დაპირისპირება სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანებისა ორგპარტმასობრივი მუშაობის და ამ მზრდელობითი მუშაობის გაჩალებასთან სოფლად“.

სამხარეო კომიტეტის ეს მითითება სამხარეოჯგოს პარტრაიკომს არ გაუტარებია. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ რაიკომის კულტპროპაგანყოფილების გამგე და კულტპროპაგანდისტი სოფლის და საკოლმეურნეო უჯრედების მდივანმა ყაზარაშვილმა ვერ უზრუნველყო მსმენელთა დასწრება, რის გამოც მეცადინეობა სამჯერ ჩაიშალა. სოფლად პოლიტმეცადინეობის ჩაშლის ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია.

პარტრაიკომი ამ ჩამორჩენას ებრძვის მხოლოდ გაფრთხილებების მიცემით და ცირკულარული მითითებების საშუალებით. ხელმძღვანელობის „ასეთი მეთოდი კი საქმეს ვერ შველის. სამხარეო კომიტეტის აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია:“ გადაჭრით უნდა იქნას თავიდან აცილებული ჯერ კიდევ პრაქტიკაში გავრცელებული ადმინისტრირება და მის მაგიერ შემოღებული იქნას ნამდვილი ყოველდღიური დახმარება, ცოცხალი ჟივჩირი და ინსტრუქტაჟი ქვედა პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელობისა, აღზრდასა და შექმნაში“. საგარეჯოს რაიონულმა კომიტეტმა სამხარეო კომიტეტის ამ მითითების საფუძველზე ნამდვილად უნდა გარდაქმნას საკოლმეურნეო უჯრედისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. გარდა აღნიშნული სკოლებისა რაიონულ დაწესებულებათან, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან (რომელთაც სატ. სადგური არ უწევს მომსახურეობას. არსებულ უჯრედებში დაკომპლექტებულია დაწყებითი პოლიტსკოლა 11, საკანდიდატო სკოლა 7, მოძრავი პოლიტსკოლა 2, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე 1, პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე 1, რაიკომთან ჩამოყალიბებულია სემინარი პარტაქტივისათვის და პროპაგანდისტთა კოლექტივი; **აქაც პოლიტსწავლება არ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.** ჩაშლილია მეცადინეობა საგარეჯოს ტერიტორიულ უჯრედთან, მილიციასთან, აღმასკომთან, (ხელმძღვანელები პავლიაშვილი, გენგაშვილი, გელაძე) არსებულ პოლიტსკოლებში ჩაშლილია პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობა (ხელმძღვანელი ჭოლოკავა). სხვა უჯრედებშიც სუსტია მეცადინეობაზე დასწრება და შეთვისების ხარისხი.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიონულმა კომიტეტმა და სამანქანო სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებამ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად საქ. კ. პ. (ბ) ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტის ამხ. ბერიას მითითების თანახმად პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს პარტიული განათლების ქსელისადმი ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობა.

ნ. ფხაკაძე.

ბამბა

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები

წარმატებით ანხორციელებენ ამხ. ლ. ბერიას და „პრავდას“ მითითებებს

მოწინავე კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

(გურჯაანი, „კომუნისტის“ გამსვლელი ბრიგადისაგან)

მიმდინარე წელს **გურჯაანის** რაიონის კოლმეურნეობებმა ბამბის აღება - დამზადების ფრონტზე მოიპოვეს თვალსაჩინო გამარჯვება. წლიური გეგმით გათვალისწინებულ **281,37 ცენტნერის ნაცვლად 20 ნოემბრისათვის სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდათ ბამბა 323,38 ცენტნერი.** ამრიგად, **ბამბის ჩაბარების რაიონული გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით.**

ბამბის კრეფა კვლავ გრძელდება. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები იმნაირი ტემპებით აწარმოებენ მუშაობას, რომ ბამბის აღება და დამზადება მისდევდეს კოლოფების გაშლას.

ეს გამარჯვება რაიონის კოლმეურნეობებმა მოიპოვეს **პოლიტგანყოფილების** და რაიკომის მტკიცე ოპერატიული ხელმძღვანელობის მეოხებით.

მიუხედავათ ამისა, გურჯაანის რაიონში შევხვდებით ისეთ კოლმეურნეობას, რომელიც სუსტად იბრძვის ბამბის აღება - დამზადებისათვის. დავასახელებთ სოფ. **დარჩეთის** კოლმეურნეობა „წინსვლას“.

ამ კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს ბამბა — 47,77 ცენტნერი. 10 ნოემბრისათვის ჩაბარებული ჰქონდა 38 ცენტ., (გეგმის—80,8 პროც.).

10-დან 21 ნოემბრამდე აქ არ უწარმოებიათ ბამბის კრეფა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები ჩამორჩენას იმით ხსნიან, რომ „ბამბის კოლოფები არ არის გაშლილიო“!

სინამდვილეში კი ჩამორჩენა ბამბის აღება - დამზადებაში აიხსნება იმით, რომ ამ კოლმეურნეობაში მოისუსტებს შრომის დისციპლინა. არის შემთხვევა, როცა ზოგიერთი კოლმეურნე უმიზეზოდ აცდენს შრომა-დღეს. კოლმეურნეობის გამგეობა კი შრომის დეზერტირების წინააღმდეგ არ იღებს შესაფერის ზომებს. მაგალითად, კოლმეურნეები **ვასილ რამაზაშვილი და გიორგი ჯიქურაშვილი** არ ასრულებენ გამგეობის და ბრიგადირის დავალებებს და უმიზეზოდ აცდენენ შრომა-დღეებს. მიუხედავათ ამისა, დღემდე ისინი კოლმეურნეობიდან არ არიან გარიცხული.

ამხ. ლ. ბერიას მითითების და „პრავდას“ მოწოდების დამუშავების შემდეგ.

20 ნოემბერს, გაზ. „კომუნისტის“ ბრიგადამ ამ კოლმეურნეობაში დაამუშავა **„პრავდას“** 4 ნოემბრის მოწინავე და საკავშირო კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის — ამხ. **ლ. ბერიას** წერილი ამიერკავკასიის ყველა პარტორგანიზაციისადმი.

ამხ. **ლ. ბერიას** წერილს კოლმეურნეები ერთსულოვნად შეხვდენ.

კამათში გამოსულმა კოლმეურნეებმა აღნიშნეს, რომ ამ წერილთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მიიღებენ სასწრაფო ზომებს კოლმეურნეობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

უყოყმანოდ გავატარებთ ამხ. **ლ. ბერიას და გაზ. „პრავდას“** მითითებებს, — განაცხადა საერთო კრებაზე კოლმეურნე **იოსებ გოგილაშვილმა.**

დასასრულ, კოლმეურნეთა საერთო კრებამ ამხ. **ლ. ბერიას** და **„პრავდას“** მითითებათა სრული რეალიზაციის მიზნით ბამბის დროულად ჩაბარებისა და 1934 წლისათვის უფრო მეტი უხვი მოსავლის მიღებისათვის იკისრა შემდეგი **ვალდებულებები:**

მთელი ნაკვეთებიდან ბამბის აღებას და დამზადებას დაამთავრებენ არა უგვიანეს პირველი დეკემბრისათვის.

იმ მიზნით, რომ 1934 წლისათვის ასწიონ ბამბის მოსავლიანობა მზრალად ხვნას დაამთავრებენ 15 დეკემბრამდე.

დარჩენილ ბამბის ასაღებად გამოვლენ მთელი შრომის უნარიანი კოლმეურნეები. **ის ვინც შენიშნული იქნება უმიზეზოდ შრომადღის გაცდენაში, მას უყოყმანოდ შეუფარდებენ საკავშირო ცაკის კანონს ზარმაცებთან ბრძოლის შესახებ.**

გაძლიერებულ ყურადღებას მიაქცევენ **პირუტყვის საზამთროდ დაბინავებას.** ამ მიზნით **40 სული პირუტყვისათვის დაწყებულ ბოსლის მშენებლობას დაამთავრებენ 25 ნოემბრამდე.**

ზამთრის პერიოდში პირუტყვის კვების უზრუნველსაყოფად დაჯავშნულ 2.000 ფუთ თივას, 2000 ფუთ ბზეს და 1.500 ფ. სიმინდის ფუჩეჩს მთლიანად მოახმარებენ დანიშნულებისამებრ და მათ დასაცავად დაწესებენ სასტიკ კონტროლს.

კოლმეურნეობის განკარგულებაში მყოფ 90 სულ **ხარ-კამეჩს ზამთარში უზრუნველყოფენ თბილი და სინათლიანი ბინით.**

ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით ამ კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. **ჯიმითის** კოლმეურნეობა „გლეხის შეგნება“.

არბიტრობა ეთხოვა გაზ. **„კომუნისტის“** და გურჯაანის რაიონული გაზეთ „კოლექტიური შრომას“ რედაქციებს.

თ. კუნჭულია.
მ. ზარანდია.
ანა ბედიაშვილი

შესყიდულია 4.109,5 ტონა ბამბა

საქ. მებამბეობის კომიტეტის ცნობით, 23 ნოემბრისათვის საქართველოში დამზადებული იყო სულ 4.109,5 ტონა ბამბა (წლიური გეგმის 49,5 პროც.); **კოლმეურნეობებს** ბამბის ჩაბარების გეგმა შესრულებულ ჰქონდათ 48,1 პროც. (დამზადებული იყო 1.838 ტონა), **ერთპიროვნულ მეურნეობებს** — 1.932,6 ტონა (გეგმის 49,8 პროც.).

იმავე 23 ნოემბრისათვის **ყარაიას საბჭოთა მეურნეობას** ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა 56,5 პროც.

ცალკე რაიონების მიხედვით გეგმა შესრულებული ჰქონდა: **ბორჩალოს რაიონს** — 39,2 პროც., **ლუჭსემბურგისას** — 70,2 პროც., **ყარაიასას** — 51,7 პროც., **საგარეჯოსას**— 52,5 პროც., **გურჯაანისას** — 97,1 პროც., ხოლო **ამავე რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 115,4 პროც.; ხოლნის** რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 94,9 პროც., **ამ რაიონის კოლმეურნეობებს კი 104,4 პროც.**

კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე დავალებით ჩაბარებული ჰქონდათ 97,6 ტონა.

ბორჩალოსა და ყარაიას რაიონებში ჩამორჩენა ისევ გრძელდება. ამ რაიონებმა გეგმების შესრულებაში; ვერც უკანასკნელი ხუთდღიურში მოახდინეს გარდატეხა. 18 ნოემბრიდან, 23 ნოემბრამდე ბორჩალოში დამზადდა წლიური გეგმის 2,1 პროც., ხოლო ყარაიას რაიონში 1,9 პროც.

შუა-აზიის მეგობრეობის რაიონების კომკავშირელების დელეგაცია გამოემგზავრა ა.-კავკასიაში

საქ. ა. ლ. კ. კ. ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტმა შუა - აზიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტისაგან მიიღო დეპეშა ამიერ კავკასიაში შუა -აზიის კომკავშირელთა დელეგაციის გამომგზავრების შესახებ. დელეგაციის მიზანია — გაეცნოს ამიერკავკასიისა და შუა აზიის კომკავშირელებს შორის დადებულ სოციალისტურ ხელშეკრულების შესრულებას.

დელეგაციას — 5 კაცის შემადგენლობით ტფილისში მოელის 27 — 28 ნოემბერს (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მისალმება „კრესტიანსკაია გაზეტას“

სახკომსაბჭოს მხურვალე სალამს უთვლის ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ ორგანო—„კრესტიანსკაია გაზეტას“, მის ხელმძღვანელებს და მისი აქტიური თანამშრომლების — გლეხკორების მთელ კოლექტივს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 10 წლისთავზე.

მთელი გასული 10 წლის განმავლობაში „კრესტიანსკაია გაზეტა“ იყო პარტიის და მთავრობის საიმედო და დაუღალავი თანაშემწე მუშებისა და გლეხების კავშირის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ძალის, განმტკიცებისათვის ბრძოლის, კულაკობის განადგურებისა და ლიკვიდაციისათვის, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და ახალი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეში.

სახკომსაბჭო მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ „კრესტიანსკაია გაზეტა“ შეამჟდროებს თავის გარშემო მოზარდი საკოლმეურნეო აქტივის სულ ახალ და ახალ ფენებს და მომავალშიაც ახალი ენერგიით და შეუპოვრობით იბრძოლებს კოლმეურნეობათა ბოლშევიკური განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებული, კულტურული ცხოვრებისათვის, სოციალისტური მიწათმოქმედების ტექნიკის დაუფლებისათვის, განადგურებული კულაკობის ნაშთების წინააღმდეგ, სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის.

სახკომსაბჭოს კავშირის სახკომსაბჭო.

თვითმფრინავ „კ—7“-ის კატასტროფა

ხარკოვი, 22 ნოემბერი. 21 ნოემბერს, დღის დაახლოებით 3 საათზე, თვითმფრინავ „კ—7“-ის კატასტროფის გამო დაიღუპნენ: შეფი—პილოტი ამხ. **შნეგარიოვი**, ავიოქარხნის სამონტაჟო სამჭროს ინჟინერი **ჟერონკინი**, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. **ლიპა**, მთავარი მექანიკოსი ამხ. **ვლასოვი**, ბორტმექანიკოსი ამხ. **ბარიშნიკოვი**, ბორტმექანიკოსი ამხ. **კონონენკო**, ინჟინერ-კონსტრუქტორი ამხ. **შკლოვსკი**, ინჟინერ-კონსტრუქტორი ამხ. **ზარეცკი**, ტექნიკურ კონტროლის განყოფილების უფროსი ამხ. **პაპჩინსკი**, ავიოქარხნის კომკავშირის უჯრედის მდივანი ამხ. **ლომანსკი**, ხელსაწყოების მუშა ამხ. **ზაიცევი**, მუშა ამხ. **პლეტნიხი**, მეთვალყურე ამხ. **პილაში** და მუშა ამხ. **ხახნო**.

კატასტროფის მიზეზის გამოსარკვევად გამოყოფილია მთავრობის კომისია, რომელშიაც შევიდენ: ამხ. სუხომლინი (მუშა გლეხინის სახალხო კომისარი), კაცნელსონი (საოლქო სახპოლიტსამმართველოს უფროსი), ბენედიქტოვი (უზენაეს სასამართლოს პროკურორი), ვახრუშევი და დურკანოვი (ადს).

ამხ. უნშლიხტის დეკეშა ხარკოვის ავიოქარხანას

მოსკოვი, 22 ნოემბერი. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსმა ამხ. **უნშლიხტმა**, თვითმფრინავ „კ—7“-ის კატასტროფასთან დაკავშირებით, გაგზავნა ხარკოვში შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ხარკოვი. ავიოქარხანა, ქარხნის სამკუთხედს.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავების, მუშების და ინჟენერების სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ იმ მძიმე კატასტროფის გამო, რომელმაც ქარხნის კოლექტივის რიგებს გამოსტაცა საჰაერო ფლოტის მშენებლობის საუკეთესო დამკვრელები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქარხნის მუშათა კოლექტივს აღმოაჩნდება ძალღონე უახლოეს ჟამში აინაზღაუროს მძიმე დანაკლისი ახალი საწარმოო მიღწევებით“.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ-სამმართველოს უფროსი უნშლიხტი.

პირველი საბჭოთა რეაქტიური მასალა

ლენინგრადი, 22 ნოემბერი. ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა პირველი საბჭოთა რეაქტიური მაშხალის დამზადებას ატმოსფეროს მაღალი ფენებია გამოსაკვლევად. მაშხალის კორპუსი მზადაა. ამჟამად წარმოებს ძრავის დაშზადება.

პირველი საბჭოთა რეაქტიური მაშხალა. მომზადებული ლენინგრადელ თანამშრომლების მიერ ამ დარგში მოგვაგონებს შორსმჭრელი არტილერიის ყუმბარას. მაშხალას ექნება რეაქტიური ძრავი, რომელიც იმუშავებს ჩიხად აალებულ (ნახევრი მეტროდი, ბენზინის) მაშხალის ატმოსფეროს ზედა ფენებში უნდა აიტანოს მეცნიერული გამოკვლევის სპეციალური ხელსაწყოები. მაშხალა ატმოსფეროში ასვლის სიმაღლე სხვადასხვ

ზამთარი ახლოვდება, რკინისგზა არ არის მზად თოვლთან საბრძოლველად

მეორე დისტანცია მზად არ არის ზამთრისათვის

(„კომუნისტი“-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზამთარი კარს მოგვადგა. თოვლი შეაფერხებს რკინის გზის მუშაობას, თუ იგი სათანადოდ არ მოემზადა. ზამთრის სტიქიასთან ბრძოლა რკინის გზის მუშაკთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამ მხრივ ყველაზე მეტი მუშაობა ლიანდაგის დარგს მართებს.

ვნახოთ, როგორ ემზადება საზამთროდ პირველს დისტანციას უნდა შეეკეთებია

ლიანდაგი მთავარ ხაზზე სიგრძით 47 კილომეტრი	36 კილომეტრი
„ სადგურის ხაზებზე 13 „	12 კილომეტრი.

უნდა შეეცვალა	შეცვალა:
ხიდის ძელი 1345 ცალი	1100 ცალი.
ხრეში ლიანდაგზე 4900 კუბომეტრი	4500 კუბომეტრი,
განძელი მთავარ ხაზზე 17.666 ცალი	23059 ცალი;
სამაგრი 35 ტონა	28 ტონა.
ისარი 6 ცალი	4 ცალი.
გადამყვანი ძელი 17 ცალი	6 ცალი.
მთლიანი ლიანდაგი 2,1 კილომეტრი	2 კილომეტრზე.

ამგვარად წელიწადი თავდება და მეორე სალიანდაგო დისტანციის სამუშაოთა გეგმები შეუსრულებელია.

ამის მიზეზი ბევრია. ჩვენ პირველ რიგში მუშახელის ნაკლებობას ვასახელებთ. დისტანციის გეგმის შესასრულებლად 180 მუშა ესაჭიროება, ნამდვილად კი აქ 136 კაცი მუშაობს. ძველი რკინისგზელების, კვალიფიციური მუშების საგრძნობმა ნაწილმა მიატოვა სამუშაო ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო. მეორე სალიანდაგო დისტანციის მუშები ცუდად მარაგდებიან: აკლიათ სპეცტანსაცმელი, ვერ იღებენ საკმარის ცხიმს, ვერ სარგებლობენ რკინისგზის ბინებით. ამ ნიადაგზე სამუშაო მიატოვეს მუშებმა—პ. გელანტიამ, ნ. ბუაძემ, დ. ლიპარტიამ და სხვ.

დისტანციის პასუხისმგებელი მუშაკები გეგმის შეუსრულებლობის მეორე მიზეზად ცენტრ. ლიზებული წესით მასალის უკმარისად მომარაგებას ასახელებენ. მეოთხე კვარტალში 15-ის ნაცვლად აქ 8 ტონა სამაგრი მასალა მიიღეს, სამტრედიაში დღეს გაუქმებულია ორი ლიანდაგი იმისათვის, რომ დისტანციას არა აქვს ისრები აქ მოსაწყობად. ისრების უქონლობა სადგურის მუშაობას ხელს უშლის. მთავარ ხაზზე, განსაკუთრებით კი ფოთში გაცვეთილია ლიანდაგის სამაგრები (ომბახი, ქვედი, ჭანჭიკი და ზედი). დაუყოვნებლივ შეცვლას მოითხოვს ოქრეთე ძელები სად. ფოთსა და სამტრედიაში. შეუწყნარებელი მდგომარეობაა კი რძოდ სადგ. სამტრედიაში. იქ სარგებლობენ 50 წლის წინათ დაგებული ლიანდაგით, რომელზეც მოძრაობენ მძიმე ორთქლმავლები და მატარებლები; ეს საფრთხეს უქმნის მათ.

რა მდგომარეობაშია საერთოდ ლიანდაგი მეორე დისტანციის ფარგლებში? მატარებლის მგზავრობისას ყველა იგრძნობს ვაგონების ერთგვარ წაბიძგებას და გადახრებს, განსაკუთრებით საბარგო მატარებლებსა და ცისტერნებზე. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ თვით ლიანდაგი დაზიანებულია. ამ დაზიანებას იწვევს ადგილმდებარე პირობების გაუთვალისწინებლობა და დისტანციის უხეირო მუშაობა. ცნობილია, რომ განძელების გამოცვლა უნდა ჩატარდეს წლის მეორე და მესამე კვარტალში. უფრო ადრე, ანდა გვიან დაგებული განძელები ადვილად ფუჭდება დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებში, რასაც სათანადო ანგარიშს არ უწევს ა.ო.ჯ. რკინის გზების სამმართველოს სალიანდაგო დარგი: ეს უკანასკნელი მასალებს დისტანციას ყველა კვარტალში თანაბარი რაოდენობით უგზავნის; საჭირო კია, ლიანდაგის გამოსაცვლელად და შესაკეთებლად მასალა მეორე და მესამე კვარტალში უფრო მეტი იგზავნებოდეს. ამას მოითხოვს სალიანდაგო მეურნეობის და საერთოდ რკინის გზის ინტერესები.

მივიწყებული შტო

ბორჯომ-ბაკურიანის რკინის გზის შტო სრულიად მივიწყებულია. ამ ხაზზე უხეშად ირღვევა ექსპლოატაციის წესები. სადგურის და დეპოს მორიგეები შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენენ სახალხო მატარებლების მოძრაობისადმი.

მაგ. 3 და 4 ნოემბერს ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს მორიგემ ბორჯომ - ბაკურიანის მატარებლისათვის თავის დროზე არ გაუშვა ორთქლმავალი, რის გამო სახალხო მატარებელი წავიდა 35 წუთის დაგვიანებით. ეს დაგვიანება იმითაც იყო გამოწვეული, რომ სადგურის მორიგე ბარძიმაშვილმა არ მიიღო ზომები დეპოს ასეთი დაუდევრობის წინააღმდეგ.

14 ნოემბერს ბორჯომ - ბაკურიანის მატარებელი ზარის მიცემიდან 5 წუთის შემდეგ წავიდა. ასეთი შემთხვევები აქ ხშირია, მაგრამ რატომღაც სადგურის ადმინისტრაცია ამის წინააღმდეგ არ იღებს საჭირო ზომებს.

ლაბანის სადგური ხშირად მატოვებულია უპატრონოდ; სადგურის უფროსი **ხომასურიძე** უსაქმოდ დასეირნობს, მგზავრები კი მიდიან სადგურში და ხშირად ნახულობენ სადგურის უფროსის ასეთ განცხადებებს: „აქ არა ვარ, მატარებელს მოსცილდა ჩამოვალო“. ხშირად ეს დაპირებაც არ სრულდება, მაგ. 9 ნოემბერს, დილით, ბაკურიანიდან ლაბანში ჩამოსულ მატარებელს სადგური დაკეტილი დახვდა. მგზავრები კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასეთი უხეშგავლობის გამო. ხომაბურიძემ, რომელიც მატარებლის წასვლის დროს მოვიდა, ძლივს მოასწრო ბილეთების გაყიდვა. ბაკურიანის სადგურიც უწესოდ უშენებს მატარებლებს. ამგვარად ბორჯომ - ბაკურიანის შტოზე მეტად ცუდი მდგომარეობაა შექმნილი. საჭიროა ზომების მიღება. აუცილებელია ამ ხაზის გაწმენდა უვარგისი და დაუდევარ მუშაკებ-საგან.

ვ. რუსია

სახელმწიფო კონეგის გამნიავეგლეგი დასჯილი არიან

ქუთაისი, (საკ. კორ.) 21 და 22 ნოემბერს, ქუთაისის რკინისგზელთა კლუბში სატრანსპორტო სასამართლომ გაარჩია ქუთაისის უბანში შპალების მტაცებლობისა და განიავების საქმე.*) შპალების მითვისებასა და განიავებაში შემჩნეული იყვნენ უბნის მუშაკები: მემანქანე მელაძე, ხუციშვილი, ცნობილაძე, კოროშინაძე და სხ.

სასამართლომ, დადასტურებულად ჩათვალა რა ამ პირების დანაშაული შპალების მტაცებლობაში, მიუსაჯა: მემანქანე **ამბ. მელაძეს** — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, კონდუქტორ **გოცრიძეს** — 3 წლით, **ცნობილაძეს და ქათამაძეს** — ექვს-ექვსი თვით, **ხუციშვილს** 3 თვით და გზის ოსტატ **კოროშინაძეს** — 3 თვით. სალიანდაგო დისტანციის უფროსს ეპიტოვს — სასამართლომ გამოუცხადა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

*) იხ. „კომუნისტის“ № 238, 15 ოქტომბრისა.

ტფილისის საოლქო დეპო. ამხ. მიხანაშვილის ბრიგადა ორთქლმავლის ქვაბის შეკეთებაზე.

ისწავლეთ ბავშვებისათვის წერა

საბჭოთა ქვეყნის ნორჩ თაობას აინტერესებს ბავშვისათვის გასაგებ ენით დაწერილი მხატვრული წიგნი, რომელიც გამოხატავს საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის საკითხებს, მოსწავლეთა და პიონერთა ბრძოლას სწავლის მაღალი ხარისხისათვის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის და მეცნიერებათ საფუძვლების დაუფლებისათვის. ბავშვს აინტერესებს წიგნში ამორჩეული სოციალისტური მშენებლობის ეპიზოდები, სხვადასხვა ესქიზდიალათა მოგზაურობის ამბები ყინულოვან ქვეყნებში, უდაბნოებში, სტრატოსფეროში, ზღვასა და ხმელეთზე.

მაგრამ საბავშვო ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამორჩება ბავშვთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ჩვენ გვყავს მთელი რიგი ნიჭიერი მწერლები, რომლებიც გამოზარდა ა. ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო სასწავლო ინსტიტუტის ლიტერატურის ფაკულტეტმა, მაგრამ ისინი კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებას საბავშვო ლიტერატურის დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა ყოველწლიურად იზრდება, არ შეიძლება თვითკმაყოფილებას მივეცეთ. გამოცემულ წიგნების რიცხვი ჯერ კიდევ ცოტაა. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ გარემოება, რომ ბავშვებს მისწრაფება ერთნაირი როდია. ზოგს უყვარს მხატვრული წიგნის წაკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ დასძლიეს ბოლშევიკებმა და საბჭოთა ავტომანქანებმა ყარაყუმის უდაბნო; მეორენი ითხოვენ წიგნს, სადაც ნაამბობი იქნება სტრატოსტატ „ს. ს. ს. ჯ.“ გაფრენის შესახებ, მესამენი — როგორ და ვინ შეაერთა ბალტიისა თეთრი ზღვები; მეოთხენი მოითხოვენ „კრასინის“ ექსპედიციის ამბებს, მეხუთენი — პატარა პიონერების: მ. გორდეენკოს და პავლუშა მოროზოვის გმირული საქმეების მხატვრულად ასახვას და ასე შემდეგ. ჩვენი საბავშვო მწერლები ყოველთვის როდი იღებენ მხედველობაში ნორჩი თაობის ამ მისწრაფებებს; ისინი ხშირად წერენ ყველაფერს „საერთოდ“. ამ „საერთოდ“ დაწერილი წიგნებიდან იშვიათია, რომ რამდენიმემ მაინც მიიპყროს ბავშთა ყურადღება. აღძრას. ბავშვებში მისწრაფება მეცნიერებისადმი, ტეხნიკისადმი.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ქვეყნის ბავშვები პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით მონაწილეობენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში. პიონერები და კოლმეურნე ბავშვები აქტიურად ეხმარებიან სოფლის ორგანიზაციებს საკოლმეურნეო ქონების დაცვაში, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც ბავშვები თავგანწირვის მაგალითებს იძლევიან ტრაქტორზე და საკოლმეურნეო მშენებლობაში. რატომ არ შეიძლება ბავშთა ეს აქტიური მუშაობა გავიტანოთ მხატვრულ ტილოზე, დავანახოთ ყველა მოზარდს, რომ პიონერები იბრძვიან როგორც კლასობრივად შეგნებული ადამიანები და მზად არიან ყოველ წუთს დაიცვან დიდი მონაპოვარი?

ჩვენი მწერლების დიდი ნაწილი ვერ იცნობს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობას, მის წესებს. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ ისინი საბავშვო ყოფაცხოვრების თემების დამუშავების დროს გამოუვალ ჩიხში ექცევიან.

ერთია დასამუშავებელი თემის ყალბად გაშუქება, მეორეა ენა საბავშვო ლიტერატურისათვის, საბავშვო მხატვრობისათვის. რა ვუყოთ, რომ ბევრი იწერება მნიშვნელოვან თემებზე, რომ ბევრ სურათს გვაძლევენ ჩვენი მხატვრები, საქმე მარტო რაოდენობა როდია; საქმე აღებული თემის საუკეთესო დამუშავებაა. ბავშვებს ძლიერ მოსწონთ დ. დეფოს, ფენიმორ კუპერის და ჟიულ ვერნის ნაწერები. რატომ? განა იმიტომ, რომ მათი ეპოქა უფრო მიმზიდველი იყო? არა! სოციალისტური მშენებლობის ეპოქა საინტერესო და მიმზიდველია ყველა ეპოქათა შორის. საიდუმლოება აქ ისაა, რომ დასახელებული მწერლების წერის ტექნიკა მაღალხარისხოვანი და ძლიერია. ჩვენმა მწერლებმაც უნდა აითვისონ საბავშვო წიგნების წერის ტექნიკა და კრიტიკულად გამოიყენონ კლასიკოსების საუკეთესო მიღწევები.

საჭიროა საბავშვო მწერლობასა და მხატვრობაში გარდატეხის მოხდენა. ამას მოითხოვენ პარტია, ხელისუფლება, კომკავშირი და ბავშვები.

ა. გველესიანი
გოგეჯიშვილი

იდეური სიმტკიცისათვის საბავშვო ლიტერატურაში

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბავშვო მხატვრულ ლიტერატურას, როგორც იდეური ემოციური ზემოქმედების ძლიერ საშუალებას. საბავშვო ლიტერატურის მხატვრულობა უნდა ემყარებოდეს ჯანსაღ კომუნისტურ შინაარსს. საბავშვო ლიტერატურა არასდროს არ მდგარა პოლიტიკის გარეშე და იგი ყოველ საზოგადოებაში განსაზღვრული კლასის იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი. ამას ამტკიცებს საქართველოში საბავშვო ლიტერატურის ისტორიაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჩნდნენ ისეთი კრიტიკოსები, რომლებმაც სცადეს საბავშვო ლიტერატურა კლასთა ბრძოლის გარეშე დაეყენებინათ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ან. ღვინიაშვილის წერილი გასული წლის გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში“. ღვინიაშვილი წერს: „ქართული საბავშო ლიტერატურა ყოველგვარ სოციალურ ცხოვრების გარეშე იდგა. ორი საბავშო ჟურნალი „ჯეჯილი“ და „ალაყდული“, რომლებიც ათეული წლებს განმავლობაში ასაზრდოებდენ ქალაქისა და სოფლის ბავშებს, გვერდს უხვევდა საზოგადოებივ მოვლენებს“.*) ავიღოთ შემთხვევით ნებისმიერი ნომერი ამ ჟურნალებისა და მკითხველი დარწმუნდება, რომ ჩვენ ნამდვილად გვქონდა ბავშვთა ჟურნალი, რომელიც ასახავდა ბავშვთა ცხოვრებას, ბავშვთა ინტერესებს, ბავშვთა ფანტაზიას. ამ ჟურნალებში ბავშვები ეცნობოდნენ ბავშვთა ცხოვრებას სხვა ქვეყნებში, ეცნობოდნენ ბავშვთა ცხოვრებას საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ეცნობოდნენ ბავშვთა ცხოვრებას წარსულში. ამ ჟურნალებში ბავშვები

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘ